საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მოხე

მოხე, სოფელი სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ადიგენის მუნიციპალიტეტში (მოხის ადმ. ერთეული). მდებარეობს მესხეთის ქედის სამხრ. კალთაზე, მდ. ქვაბლიანის მარცხ. მხარეს. ადმ. ერთეულის ცენტრი (სოფლები: **მ**., ნამინაური, ციხისუბანი). ზ. დ. 1450 *მ*, ადიგენიდან 13 *კმ*, 254 მცხ. (2014). სოფელს მინიჭებული აქვს მაღალმთიანი დასახლების სტატუსი. XX ს. 60-იან წლებში **მ**-ში დასახლდნენ ეკომიგრანტები მაღალმთიანი აჭარიდან. მათი უმრავლესობა მუსლიმია. სოფელში დგას მეჩეთი.